დიმიტრი აბრამიანი

CSS

Cascading Style Sheet

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2011

CSS - Cascading Style Sheet

2011

შემდგენელი:

დიმიტრი აბრამიანი

რედაქტორი:

ზურაბ ცქირია

ყველა უფლება დაცულია

© 3554, თბილისი, საქართველო.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2011

ISBN 978-99940-50-51-2

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 77ა

სარჩევი

სარჩევი 3
ავტორისგან 5
სტილები 6
სტილების დამატების ხერხები 6
მიმაგრებული სტილები 6
გლობალური სტილები 8
ჩანერგილი სტილები 9
სტილების იმპორტი 11
მოწყობილობების ტიპები 13
CSS საბაზო სინტაქსი 20
სტილების გამოყენების წესები 22
კომენტარები 24
სტილის თვისებების მნიშვნელობები 25
ზომები 25
მისამართები 28
საკვანძო სიტყვები 30
სელექტორები 31
ტეგის სელექტორები 31
კლასები 32
იდენტიფიკატორები 40
კონტექსტური სელექტორები 44
მეზობლური სელექტორები 48
შვილობილი სელექტორები 54
ატრიბუტების სელექტორები 61
ატრიბუტის ჩვეულებრივი სელექტორი 62
ატრიბუტი მნიშვნელობით 64
თუ ატრიბუტის მნიშვნელობა იწყება განსაზღვრული ტექსტით 65
თუ ატრიბუტის მნიშვნელობა მთავრდება განსაზღვრული ტექსტით 67
თუ ატრიბუტის მნიშვნელობა შეიცავს მითითებულ ტექსტს 69
ატრიბუტის ერთი მნიშვნელობა რამდენიმედან 70
დეფისი ატრიბუტის მნიშვნელობაში 71
უნივერსალური სელექტორი 74
ფსევდოკლასები 75
ელემენტის მდგომარეობის განმსაზღვრელი ფსევდოკლასები 76
დოკუმენტის სტრუქტურასთან დაკავშირებული ფსევდოკლასები 83
ფსევდოკლასები, რომლებიც განსაზღვრავენ ენას 86
დაჯგუფება 88
მემკვიდრეობა 90

შესავალი CSS3 -ში **95**
CSS3 -ის რამდენიმე თვისება 95
CSS3 ფონის თვისებები 97
CSS3 ტექსტის თვისებები 99
CSS3 @FONT-FACE წესები 101
CSS3 2D ტრანსფორმაცია 103
CSS3 3D ტრანსფორმაცია 106
CSS3 ტრანსფორმაცია 108
გამოყენებული ლიტერატურა **110**

ავტორისგან

მოგესალმებით, მკითხველო. ამჟამად, წიგნის დაწერის მომენტისათვის, მიმდინარეობს CSS –ის მშფოთვარე ზრდა, და მოხარული ვარ რომ შემიძლია მოგიყვეთ CSS –ის ძირითად თვისებებზე, დაწერის სტილზე, სინტაქსზე და მოკლედ აგიხსნათ თუ როგორ შეიძლება სტილების რეალიზება და მართვა ვებ-გვერდზე.

წიგნში მოცემული მრავალი მაგალითით შეიძლება უფრო ძირეულად შეისწავლოთ CSS დაწერის ტექნოლოგია. ყოველი მაგალითის შემდეგ არის ახსნა თუ როგორ არის რეალიზებული ესა თუ ის სტილი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წიგნის დაწერის მომენტისათვის, ზოგი სტილის გამოყენება არ იყო რეალიზებული ბრაუზერების უმრავლესობაში, თუმცა მათი აღწერა ზუსტია.

წიგნი გათვლილია როგორც დამწყებზე, აგრეთვე პროფესიონალზე.

სტილები[1]

სტილები ან CSS[2] სტილები ეწოდება ფორმატირების პარამეტრების ნაკრებს, რომელიც გამოიყენება დოკუმენტის სხვადასხვა ელემენტის ფორმის, ფერის, ზომის თუ სხვა მახასიათებლის ცვლილებისათვის. სტილების გამოყენება დაიწყეს დიდი ხნის წინ - განვითარებულ საგამომცემლო სისტემებში და ტექსტურ რედაქტორებში, იგი საშუალებას იძლევა ერთი დაწკაპუნების მეშვეობით შეცვალოთ ტექსტის იერსახე.

ამჟამად სტილების გამოყენება ხელმისაწვდომია ვებ-გვერდების შემქმნელებისათვის. CSS წარმოადგენს მძლავრ სისტემას, რომლითაც შესაძლებელია ვებ-დიზაინის სხვადასხვა ხერხების გამრავალფეროვნება.

ვებ-გვერდზე სტილების დასამატებლად არსებობს რამდენიმე საშუალება და დანიშნულება. განვიხილოთ თითოეული

სტილების დამატების ხერხები

მიმაგრებული სტილები

მიმაგრებული სტილების გამოყენების დროს, სელექტორების აღწერა და მათი მნიშვნელობები ინახება ცალკე ფაილში, როგორც წესი **.css** გაფართოებით. ძირითად დოკუმენტთან დაკავშირებისათვის გამოიყენება ტეგი **<link>,** რომელიც თავსდება **<head>** კონტეინერში, იხილეთ მაგალითი 3.1

მაგალითი 3.1. მიმაგრებული სტილების მიბმა

```
<!DOCTYPE HTML>

<html>

 <head>
```

[1] სტილები ეწოდება ფორმატირების პარამეტრების ნაკრებს, რომელიც გამოიყენება დოკუმენტის სხვადასხვა ელემენტის: ფორმის, ფერის, ზომის თუ სხვა მახასიათებლის ცვლილებისათვის.

[2] Cascading Style Sheets, სტილების კასკადური ცხრილი.

```
    <meta http-equiv="Content-Type" content="text/html;
charset=utf-8">

      <title>სტილები</title>

      <link       rel="stylesheet"       type="text/css"
href="mysite.css">

      <link       rel="stylesheet"       type="text/css"
href="http://ug.edu.ge/main.css">

     </head>

     <body>

       <h1>სათაური</h1>

       <p>ტექსტი</p>

     </body>

    </html>
```

<link> -ის ატრიბუტები rel და type უცვლელია, ხოლო href -ში მიეთითება CSS ფაილის მისამართი. შეიძლება როგორც ლოკალური ასევე აბსოლუტური მისამართის მითითება. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ აბსოლუტური გზის მითითებით, თქვენ შეგიძლიათ სხვა ვებ-გვერდთან ასეთნაირად განსაზღვრული სტილების ცხრილის მიბმა.

გლობალური სტილები

გლობალური სტილების გამოყენებით, CSS მახასიათებლები აღიწერება თვითონ დოკუმენტში და თავსდებიან ვებ-გვერდის თავში **<head>** კონტეინერში. ამ მეთოდის გამოყენებისას სტილები თავსდება კონტეინერში **<style>**, იხილეთ მაგალითი 3.3

მაგალითი 3.3. გლობალური სტილების გამოყენება

```
<!DOCTYPE HTML>

<html>

 <head>

<meta http-equiv="Content-Type" content="text/html;
charset=utf-8">

  <title>გლობალური სტილები</title>

  <style type="text/css">

   H1 {

    font-size: 120%;

    font-family: Verdana, Arial, Helvetica, sans-
serif;  color: #333366;

   }

  </style>

 </head>

 <body>

  <h1>გაუმარჯოს!!!</h1>

 </body>

</html>
```

ნაჩვენებ მაგალითში განსაზღვრულია **<h1>** ტეგის სტილი, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება ვებ-გვერდის ნებისმიერ ადგილას ჩასმული **<h1>** ტეგისათვის.

ჩანერგილი სტილები

ჩანერგილი სტილები, წარმოადგენს ერთგვარ გაფართოებას გვერდზე არსებული ნებისმიერი ტეგისათვის. სტილის განსასაზღვრავად გამოიყენება პარამეტრი style, მის მნიშვნელობაში კი იწერება სტილი, თვისებათა კრებული. (მაგალითი 3.4)

მაგალითი 3.4. ჩანერგილი სტილის გამოყენება

```
<!DOCTYPE HTML>

<html>

 <head>

<meta http-equiv="Content-Type" content="text/html; charset=utf-8">

  <title>ჩანერგილი სტილები</title>

 </head>

 <body>

  <p style="font-size: 120%; font-family: monospace; color: #cd66cc">ტექსტის მაგალითი</p>

</body>

</html>
```

ნაჩვენებ მაგალითში ტეგი **<p>** -ს სტილების მითითება ხდება პარამეტრი style -ის გამოყენებით, რომელშიც წერტილ-მძიმის გამოტოვებით ჩამოთვლილია სტილების თვისებები.

ჩანერგილი სტილების გამოყენება არაა მიზანშეწონილია, რადგან ასეთი სტილების გამოყენებისას დოკუმენტის მოცულობა მკვეთრად იზრდება და მისი ჩამოტვირთვა ბრაუზერში ძნელდება.